ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

# ლენინის დროშა

თბილისის სამხედრო ოლქის წითელარმიული გაზეთი
КРАСНОАРМЕЙСКАЯ ГАЗЕТА ТБИЛИССКОГО ВОЕННОГО ОКРУГА
„ЛЕНИНСКОЕ ЗНАМЯ" НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

№ 134 (394) | ოთხშაბათი, 14 ნოემბერი | 1945 წ.

## პატრიოტული აღფრთოვანების მძლავრი წყარო

ჩვენი ოლქის მეომრები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი სიხარულით შეხვდნენ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენებას 1945 წლის 6 ნოემბერს და სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის № 75 ბრძანებას, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავს. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენება აჯამებს ჩვენი გამარჯვების, ომის ოთხი მკაცრი წლების დიად შედეგებს. საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ამ მძიმე განსაცდელს, იგი ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო განმტკიცებული და ძლიერი, გამოვიდა როგორც ურყევი და საიმედო დასაყრდენი ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვაში. დასავლეთში და აღმოსავლეთში ფაშიზმისა და აგრესიის შავი ძალების განადგურებაში საბჭოთა ადამიანები ხედავენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეების გამარჯვებას, სოციალისტური წყობილების უძლეველ ძალას, საბჭოთა დემოკრატიის ახალ ტრიუმფს, ჩვენი სახელოვანი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობის ნაყოფს, რომელმაც აღზარდა ჩვენი ხალხი, გაათკეცა მისი გმირობა, გამოავლინა მისი ტალანტების წყაროები, დარაზმა მისი ძალები.

წითელი არმიის მეომრები აღფრთოვანებითა და თავიანთი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით სწავლობენ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თითოეულ სტრიქონს, რომელიც გამსჭვალულია ღრმა რწმენით ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალებისადმი. მასში ბოლშევიკური სიღრმით, სისრულითა და სიცხადით განსაზღვრულია ჩვენი გამარჯვების განმტკიცების დიადი პერსპექტივები, მოხაზულია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საბრძოლო პროგრამა, რომელიც აღფრთოვანებს იმედებითა და რწმენით ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში მკაფიოდ გააშუქა ჩვენი ძლიერი საბჭოთა სახელმწიფოს დიადი როლი, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც თვით ხალხის მიერ არის შექმნილი, ხალხისათვის არსებობს და გამოხატავს ჩვენი ხალხის გენიას, მის დიდებას, მის ბედნიერებას, მის მატერიალურ ძალას.

მალე ჩატარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებისათვის ემზადება ჩვენი ხალხი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია თავისი საყვარელი პარტიის გარშემო, აღფრთოვანებულია მისწრაფებით კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური სახელმწიფო, უზრუნველყოს დემოკრატიის უმაღლესი ფორმის — საბჭოთა დემოკრატიის კიდევ მეტი განვითარება.

წითელმა არმიამ გაუგონარი შეუპოვრობა, უდიდესი თავდადება, მამაცობა და უნარი გამოიჩინა თავისი სამშობლოს ბედნიერებისა—და თავისუფლებისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ხალხის მიერ სამამულო ომში ჩადენილმა გმირობამ კიდევ უფრო აამაღლა საამაყო სახელი საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც მთელი პროგრესიული კაცობრიობის პატივისცემა და აღტაცება მოიხვეჭა. ახლა ეს გმირობა გრძელდება და ვითარდება მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა.

ფაშიზმისა და იმპერიალისტური აგრესიის ფესვები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ამოძირკული. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე მშვიდობიანობის შესაძლებელ ახალ დამრღვევთა მიმართ. „ჩვენი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა,—სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა, — **განვამტკიცოთ ჩვენი გამარჯვება**, რასაც შეუპოვარი ბრძოლით მივაღწიეთ და რამაც გაჰკაფა გზა ჩვენი ქვეყნის ახალი დიადი აღმავლობისაკენ, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისაკენ". თუ ეს მთელი ჩვენი ხალხის წინაშე პირველ პლანზე აყენებს მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მატერიალური და სულიერი ძალების ახალ აყვავებისათვის ბრძოლის ამოცანებს, წითელი არმიისათვის, თითოეული მეომრისათვის ეს ნიშნავს ისწავლოს და ისწავლოს, გულმოდგინედ აითვისოს დიდი სამამულო ომის უმდიდრესი საბრძოლო გამოცდილება, დაეუფლოს სამხედრო ოსტატობის ახალ მწვერვალებს, დაუღალავად სრულჰყოს და განამტკიცოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება და საბრძოლო მზადყოფნა.

ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის შესანიშნავი პერსპექტივები თვითეული მეომრის გულს ავსებს მისწრაფებით კიდევ უფრო უკეთესად იმუშაოს, კიდევ უფრო მეჯითად და ნაყოფიერად ისწავლოს. ამ მიზნისაკენ არის მიპყრობილი ჩვენი ოლქის მებრძოლების, სერჟანტებისა და ოფიცრების ფიქრები და გრძნობები. ამას მოწმობს მათი აღფრთოვანებული გამოხმაურება ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებასა და მარშალ ვასილევსკის ბრძანების გარშემო. წითელი არმიის—გამარჯვებული არმიის მეომრები მზად არიან თავიანთი ახალი ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენონ ნაცადი ბოლშევიკური მეთოდი: იმუშაონ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, იმუშაონ მთელი დაუშრეტელი ბოლშევიკური ენერგიით, საბჭოთა ადამიანების უდიდესი ენერგიით!

## საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია დაბრუნდა იუგოსლავიიდან

იუგოსლავიიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია. დელეგაციამ მოიარა იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკები და ქალაქები: ბელგრადი, ზაგრები, ლუბლიანა, სარაევო, ცეტინიე, სკოპლე და სხვა. ყველა სოფელ-ქალაქში იუგოსლავიაში დელეგაციას ყოფნა იუგოსლავიის ახალგაზრდობისა და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. დელეგაცია მიიღო იუგოსლავიის მარშალმა თიტომ ბროზ-ტიტომ. (საკ-დესი).

---

## დაღესტნის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## დაღესტნის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
## საკავშირო კ. პ. (ბ) დაღესტნის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას დაღესტნის ავტონომიის გამოცხადების XXV წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების მეოხებით, დაღესტანი მოწინავე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. განვლილი 25 წლის მანძილზე რესპუბლიკაში მრავალი ფაბრიკა და ქარხანა აშენდა, სწარმოებს ნავთის უმდიდრესი საბადოების ათვისება. დაღესტნის მშრომელებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ სოფლის მეურნეობის დარგში, მეცხოველეობის, მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებაში. დაღესტნის საბჭოთა რესპუბლიკას დიდი წარმატებები აქვს კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკაში გაშლილია დაწყებითი და საშუალო სკოლების ფართო ქსელი, გახსნილია უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკები.

**სამამულო ომის წლებში დაღესტნის ხალხებმა გვიჩვენეს თავიანთი ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი. ათასობით დაღესტნელი მეომარი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. დაღესტნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ ხელი შეუწყო მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მოპოვებას.**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ დაღესტნის ასს რესპუბლიკის მშრომელები მომავალშიც დაუღალავად იბრძოლებენ მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

---

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### მწერალ ს. ნ. სერგეევ-ცენსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მწერალი სერგი ნიკოლოზის-ძე სერგეევ-ცენსკი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 12 ნოემბერი.

---

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე, დამტკიცდეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სს რესპუბლიკური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

**რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე** — **ბუჯიაშვილი ვაჟილ დიმიტრის-ძე**—საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—კობიაიძე შალვა თედორის-ძე** — თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

**რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანი—თოფურიძე ალექსანდრე კიდანეს-ძე**—საქართველოს სსრ პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

### რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრები

**ჩხუბიანიშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე**—თბილისის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**ლავთაძე კალენიკე გიორგის-ძე**—„ჭიათურის მარგანეცის" ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

**ახვლედიანი გიორგი სარიდანის-ძე**—საქართველოს უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

**ივანისელი მარიამ მათეს-ასული**—თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეებისაგან.

**ბალავაძე მაქსიმე კონსტანტინეს-ძე** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

**ბაქრაძე დავით ილიას-ძე**—თავდაცვა-ავიაქიმის საქართველოს ცენტრალური საბჭოსაგან.

**ბერიკაშვილი გაბრიელ ივანეს-ძე**—საქართველოს სამკერვალო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

**ჩიქოვანი სიმონ ივანეს-ძე**—საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან.

**ხელაშვილი თამარ ლევანის-ასული**—საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

**მუავია ეკატერინე თედორეს-ასული**—მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ფ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ვ. ეგნატაშვილი**

1945 წ. 10 ნოემბერი, ქ. თბილისი.

# მუშაობა გაიშალა

რამდენიმე მოვისმინეთ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1945 წლის 6 ნოემბერს. მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა გაზეთს. გვსურდა საკუთარი თვალით წაგვეკითხა მოხსენება, ღრმად ჩავწვდომოდით მას, ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა შთაბეჭდილებანი.

როცა 8 ნოემბრის გაზეთი მივიტანე ქვეგანაყოფში, მებრძოლებმა სიხარულით შემომხედეს. ისინი ჩამომისხდნენ სკამებზე და მითხრეს:

— ამხანაგო აგიტატორო! რაღას ელოდები — დავიწყოთ.

მე დავიწყე კითხვა. შიგა და შიგ გაწყვეტინებდნენ ხოლმე ამხანაგები. მათ სახეებს საზეიმო იერი ჰქონდა. როცა მოხსენების პირველი თავის კითხვა დავამთავრე, ამხანაგებმა ერთხმად გამოთქვეს თავიანთი აზრი.

— მართლაც და რა დიდ ქარიშხალს გაუძლო ჩვენმა ქვეყანამ! — დაიწყო წითელარმიელმა გოგუამ. — გერმანელთა ურდოები მოულოდნელად, თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში. წითელი არმია იძულებული იყო ბრძოლით უკან დაეხია. მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო ამ მძიმე გამოცდას, არა მარტო უკუაგდო მტერი, არამედ საბოლოოდ მოსპო კიდეც მისავე ბუნაგში. ჩვენ, თვითეულ საბჭოთა ადამიანს, გვწამდა, რომ ეს ასე მოხდებოდა. ამ უმძიმეს დღეებშიაც ყოველი საბჭოთა პატრიოტი ამ რწმენით აკეთებდა საკუთარ საქმეს.

— მოიგონეთ ამხანაგი სტალინის სადღეგრძელო, — ჩაერია ლაპარაკში მეტყვიამფრქვევე ბუთხუზი, — რომელიც ბელადმა წარმოსთქვა კრემლში წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე. როცა ჩვენი სამშობლო 1941 და 1942 წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა წითელი არმია უკან იხევდა, „სხვა ხალხს, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — შეეძლო ეთქვა მთავრობისათვის: თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი მოლოდინი... მაგრამ რუსი ხალხი არ წავიდა ამ გზით, ვინაიდან მას სჯეროდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორე და გაიღო მსხვერპლი, რათა უზრუნველეყო გერმანიის განადგურება. და რუსი ხალხის ეს ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველჰყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერზე — ფაშიზმზე". ამ დიდ ომში საბჭოთა ქვეყანა იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს, თავისი ახალი ტიპის სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელმაც ჩვენს ხალხს ბედნიერება და სიხარული მოუტანა.

სერჟანტმა გელაშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ წითელმა არმიამ ძვირფასი წვლილი შეიტანა ფაშისტური უღლისაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლების საქმეში. მხოლოდ მაშინ, როცა წითელი არმია შეტევაზე გადავიდა, ფართო შესაძლებლობა შეიქმნა გერმანიის იმპერიალიზმის მიერ დამონებულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

საუბრის შემდეგ მე კვლავ განვაგრძე მოხსენების კითხვა. თითოეული თავის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ცხოველი მსჯელობა გვქონდა მოხსენებაში გაშუქებული საკითხებისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გარშემო.

როცა მოხსენების კითხვა მთლიანად დავამთავრეთ, ამხანაგებს დავპირდი, რომ ხვალ მათ წავუკითხავდი თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის ბრძანებას. ისინი ბრძანებას უკვე იცნობდნენ, მაგრამ მე მსურდა უფრო ღრმად გაეცნო თითეულს მისი შინაარსი. ამასთან ერთად თითეულ მათგანს ვურჩიე, რომ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების შესწავლისათვის არაა საკმარისი ერთხელ წაკითხვა, რომ თითეულმა მებრძოლმა და სერჟანტმა დამოუკიდებლად, დინჯად, ფანქრით ხელში უნდა წაიკითხოს მოხსენება, ღრმად ჩაუფიქრდეს თითეულ სიტყვას, გაიაზროს იგი. დამხმარე ლიტერატურა, — ვუთხარი მათ, — იქნება ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიები, მიძღვნილი ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებისა და საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის ბრძანებისადმი. მართლაც, საღამოს ამხანაგებს წავუკითხე № 75 ბრძანების ტექსტი.

ყოველივე ეს იყო ჩემი, როგორც აგიტატორის, მუშაობის დასაწყისი.

9 ნოემბერს მე უკვე მზად მქონდა მონტაჟი, რომელიც შეიცავდა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1945 წლის 6 ნოემბერს, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის № 75 ბრძანებას და გაზეთ „პრავდის" მოწინავეს—„საბჭოთა ხალხის ისტორიული დღესასწაული". მონტაჟი საცხოვრებელ ბინაში თვალსაჩინო ადგილზე ჩამოვკიდე.

ამჟამად ყველა მებრძოლი უზრუნველყოფილია მოხსენებისა და ბრძანების ტექსტებით. ისინი თავისუფალ დროს დამოუკიდებლად მეცადინეობენ, მონდომებით სწავლობენ ამ ისტორიულ დოკუმენტებს.

**აგიტატორი,**

**ეფრეიტორი ვ. ხურციძე.**



უკრაინაში ყოფნის დროს გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეთა სახელით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ძამსაშვილმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დადო დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის სოფელ მალი რიზდორის „ოქტომბრის მეთორმეტე წლისთავის" სახელობის კოლმეურნეობასთან. **სურათზე:** შეჯიბრების ხელშეკრულებას ხელს აწერს „ოქტომბრის მეთორმეტე წლისთავის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. პურიკი, სხედან — ლ. კობიაშვილი, პ. აფონინი, ა. ბერიაშვილი, გ. ძამსაშვილი, გ. ნოვოხიტკო.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## „ხალხთა მეგობრობა"

ამ დღეებში თბილისში მიღებული იქნა სსრ კავშირის მოძმე ხალხების ლიტერატურათა ალმანახის „დრუჟბა ნაროდოვ"-ის მეათე ნომერი.

ალმანახის ამ ნომერში ქართული მასალებიდან მოთავსებულია სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული ახალგაზრდა პოეტის სევერიან ისიანის ლექსი „ვხედავ ყველაფერს", ლევან ასათიანის წერილი „ილია ჭავჭავაძე ქართველი და რუსი ხალხების ძმური კავშირის შესახებ" და გ. ლომიძის — „პატრიოტიზმის თემა ქართულ პოეზიაში".

ალმანახის მეათე ნომერში მდიდრად არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურის რჩეული ნიმუშები.

## კინონარკვევები ყაზახეთის შესახებ

**ალმა-ატა, 10 ნოემბერი.** (საქტასი). ალმა-ატის კინოსტუდიამ დაამთავრა ყაზახეთის შესახებ კინონარკვევთა წარმოება. ფილმი „ალმა-ატა—ყაზახეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი" გვიჩვენებს ზაილის ალა-ტაუს ძირში აყვავებული ქალაქ-ბაღის ცხოვრებას, მის შენობებს, ბაღებს, ქარხნებს, თეატრებს. ფილმში შეტანილია ფილმოთეკებში ნაპოვნი კადრები —ძველი ალმა-ატის—ქალაქ ვერნის ხედები, ქალაქში პირველი მატარებლის შესვლა.

დიდი ნარკვევი მიძღვნილი აქვს ყაზახეთის მთიების, ველებისა და უდაბნოთა მეცხოველეობას. საინტერესო ფაქტი ცხადჰყოფს რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის სწრაფ ზრდას: მრავალი წლის წინათ გამოშვებულ კინოჟურნალში კინოოპერატორებმა აჩვენეს ყაზახისათვის პირად სარგებლობაში ოთხი აქლემის გადაცემის კადრები. ამჟამად ოპერატორებმა მოძებნეს ეს კოლმეურნე და გადაიღეს აქლემის დიდი ჯოგი, რომელიც ამ ყაზახს პირველი ოთხეულისაგან გამოეზარდა თავისი კოლმეურნეობისათვის.

ნარკვევი „ყაზახეთის საუნჯე" მოგვითხრობს რესპუბლიკის წიაღის აურაცხელი სიმდიდრის შესახებ. უახლოეს დღეებში გამოვა კინონარკვევი იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა უდაბურ და მშრალ ველზე ბამბის გიგანტი—საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალი".

# მეომრები-ამომრჩევლები

ოფიცერ ნადირაძის ქვეგანაყოფში ბევრია ისეთი მებრძოლი და სერჟანტი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში პირველად მიიღებენ მონაწილეობას. ისინი მოუთმენლად მოელიან არჩევნების დღეს — 10 თებერვალს, რათა საარჩევნო ყუთებთან მივიდნენ და მთელის გრძნობით ხმა მისცენ ხალხის რჩეულთ — კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამჟამად ქვეგანაყოფში ფართოდაა გაშლილი „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" შესწავლა. ჯგუფხელები, აგიტატორები, პარტიული და კომკავშირული აქტივი სათავეში უდგანან ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. სისტემატურად ეწყობა ჯგუფხელებისა და აგიტატორების თათბირები, სადაც, გარდა მეთოდური ხასიათის საუბრებისა, სწარმოებს ახსნა-განმარტება და სხვ.

1945 წლის 6 ნოემბერს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისა და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის ბრძანების გამოქვეყნებისთანავე, ქვეგანაყოფის პოლიტმუშაკებმა საარჩევნო კამპანიისათვის სამზადისი მჭიდროდ დაუკავშირეს მოხსენებისა და ბრძანების ტექსტების შესწავლას. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს, მკაფიო დახასიათება, მოცემულია საბჭოთა დემოკრატიის ხალხური ხასიათის მრავალი ახალი მხარე. ყოველივე ეს აგიტატორებისათვის წარმოადგენს ახალ, ძვირფას მასალას საუბრებისა და მოხსენებებისათვის.

მართლაც, ამ მიმართულებით ჩვენთან უკვე გაიშალა მუშაობა. აგიტატორებმა მუშკუდიანმა და ხურციძემ, როცა ისინი ამხანაგებს ესაუბრებოდნენ არჩევნების დებულების იმ მუხლების შესახებ, სადაც საბჭოთა ამომრჩევლების უფლებებზეა ლაპარაკი, მოხერხებულად გამოიყენეს ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების II თავი — „საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა დემოკრატიის განვითარება". ამის წინათ აგიტატორმა ტუკვაძემ საუბარი დაიწყო ამხანაგ მოლოტოვის შემდეგი სიტყვებით: „ბოლშევიკური პარტია საბჭოთა უპარტიო აქტივის ფართო წრეებთან ერთად ემზადება ამ არჩევნებისათვის; იგი მათში ხედავს საბჭოთა დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას და ჩვენი ხალხის დარაზმვისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების კიდევ ერთ მძლავრ საშუალებას". შემდეგ აგიტატორმა გაარკვია, თუ რატომ არის საბჭოთა დემოკრატია ახალი ტიპის, ნამდვილი ხალხური ხასიათის დემოკრატია, რას წარმოადგენს დემოკრატია, სიტყვისა და პრესის თავისუფლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ილაპარაკა ომის წლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაზე და მოიყვანა ციტატა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებიდან: „საბჭოებმა უზრუნველჰყვეს ყველა ხალხისათვის ნაციონალური კულტურის განუხრელი აღმავლობა, ნაციონალური ტალანტების აღზრდისათვის აქტიური ზრუნვა და თანასწორუფლებიან საბჭოთა ხალხებს შორის მჭიდრო მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება, რაც ძველ რუსეთში არ ყოფილა და ჯერ კიდევ არ არის სხვა ქვეყნებში არც მონარქიის რეჟიმის დროს, არც რესპუბლიკის რეჟიმების დროს, — ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა დემოკრატიის ყოვლისშემძლე ძალას, მის უდიდეს მნიშვნელობას ხალხთა ნამდვილი პროგრესიული განვითარებისათვის". საუბარი მდიდარი იყო მრავალი ფაქტებით, რომლებიც აგიტატორმა ჟურნალ-გაზეთების მოხერხებულად გამოყენებით დააგროვა. მებრძოლები ხალისით უსმენდნენ მომზადებულ აგიტატორს. საუბრის შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" შესწავლისათვის დიდ დახმარებას გვიწევს თვალსაჩინო აგიტაცია, რომელიც ლენინის ოთახშია მოწყობილი, მდიდარი საარჩევნო ლიტერატურა, მონტაჟები, პლაკატები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა დამოუკიდებლად მეცადინეობს თავისთავზე. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ არჩევნების დებულებას, ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებასა და საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის ბრძანებას.

**პარტორგი ი. ნაჭყებია**



ადიგენილია და მუშაობა დაიწყო რიგის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ „რიგას-აუდუმსმა". სურათზე: დამზადებული ქსოვილის გასინჯვა.

ფოტო დ. ჩერნოვისა (საქფოტოქრონიკა).

## დევონის ჭაბურღილთა საბურღავი ახალი ჩარხები

**სვერდლოვსკი,** 10 ნოემბერი. (საქტესი). ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ დაამზადა ნავთის ღრმა ჭაბურღილთა საბურღავი. პირველი სამი მძიმე მოდერნიზებული ჩარხი. თითოეული ჩარხი შესდგება ჯალამბარისა, ორი ტუმბოსა, როტორისა და ოთხი მძლავრი მოტორისაგან.

ერთ-ერთი ასეთი ჩარხი გამოყენებულ იქნება საბჭოთა კავშირის ყველაზე ღრმა ჭაბურღილის (ოთხი ათასი მეტრი) საბურღავად კრასნოკამის ნავთის სარეწზე. ამ ჭაბურღილს აკეთებენ დევონის ქვედა ნალექთა დასაზვერავად. ამ ტიპის ორი სხვა ჩარხი იგზავნება საბურღავად „ტუიმაზანეფტის" სარეწებზე.

მომავალ წელს „ურალმაშზავოდმა" რამდენიმე ათეული ასეთი ჩარხი უნდა გამოუშვას ნავთის მრეწველობისათვის.

## დონბასი 15 წლის შემდეგ

„იზვესტიაში" მოთავსებულია ცნობა დონბასის განვითარების 15-წლიანი გეგმის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: ქალაქების დაპროექტების უკრაინის ინსტიტუტმა დაამთავრა დონბასის რაიონული დაგეგმვისა და მისი განვითარების გენერალური სქემა უახლოესი 15 წლისათვის. ვოროშილოვგრადისა და სტალინგრადის ოლქების საბჭოთა და პარტიული აქტივისა და ინტელიგენციის კრებებზე დაწვრილებით განიხილეს ეს პროექტი და მოიწონეს.

15 წლის შემდეგ დონბასში წლიურად ამოღებული იქნება 200 მილიონი ტონა სათბობი. გათვალისწინებულია სამასი ახალი შახტის აგება, უმთავრესად ვერტიკალური „დიდი დონბასის" ფარგლებში, რომელშიც შედის სტალინოს, ვოროშილოვგრადისა და როსტოვის ოლქების მრავალი რაიონი.

გეგმით გათვალისწინებულია სათბობ მოწყობილობის, სამშენებლო და საგზაო მანქანების წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება. დიდი მუშაობაა გათვალისწინებული აგრეთვე ქალაქების კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციისათვის. დონბასის უმნიშვნელოვანესი ცენტრები ერთმანეთს დაუკავშირდებიან ელექტროფიცირებული რკინიგზებით. რამდენჯერმე გაიზრდება ტრამვაის ლიანდაგის სიგრძე. სამი ათას კილომეტრზე მეტი მოკირწყლული და ასფალტებული გზები გადასერავენ დონბასს ყველა მიმართულებით.

## იმიერკარპატის უკრაინაში

**უჟგოროდი.** 13 ნოემბერი. (საქტესი). ერთი წლის წინათ წითელმა არმიამ თავისუფლება მოანიჭა იმიერკარპატის უკრაინას, გააძევა გერმანელი და უნგრელი დამპყრობლები. 1944 წლის 26 ნოემბერს მუკაჩევოში შემდგა სახალხო კომიტეტის პირველი ყრილობა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება „დიდ საბჭოთა უკრაინასთან იმიერკარპატის უკრაინის შეერთების შესახებ" ... „ამიერკარპატის უკრაინა შევიდეს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში".

1945 წლის 29 ივნისს განხორციელდა იმიერკარპატის ხალხის საუკუნეობრივი ოცნება საბჭოთა უკრაინასთან იმიერკარპატის უკრაინის შეერთების შესახებ.

— ამ წლის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა იმიერკარპატში,—განაცხადა საქტესის კორესპონდენტთან საუბარში იმიერკარპატის უკრაინის სახალხო რადის თავმჯდომარე ი. ტურიანიცამ. გლეხობის გადაწყვეტილებით უმიწაწყლო და მცირემიწიანმა გლეხებმა თავიანთ სარგებლობაში მიიღეს 59.193 ჰექტარი კოლოლი სამემამულო მიწები. დიდი მასშტაბით განხორციელდა ტყეების ნაციონალიზაცია. ერთ ხნით ადრე ადრე ... გლეხთა ზარში გადასახლება. ვერხოვინაში ისინი ამ ცოტა ხნის წინათ ნახევრად მშიერ-მწყურვალნი იყვნენ. მუკაჩევოში 18 სოფელში დასახლდა 524 ოჯახი და უჟგოროდის 13 სოფელში 207 მცხოვრები. ყველა გადასახლებულმა მიიღო ... მიწის ნაკვეთები, ბაღები და ვენახები, ლალი, გაეწია დახმარება. მათ ... საკუთარი სახლები აეშენებათ.

სახალხო რადის დეკრეტით სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ყველა ელექტროსადგური, წისქვილი, ქიმიური, სპირტ-არყის, სატყეო-ქიმიური ქარხნები და სხვა საწარმოები. სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესში ათობით ტონა სათბობი გამოუშვეს მესამე კვარტალში ოლქის მეშახტეებმა. 12 ქარხნიდან 9 უკვე იძლევა პროდუქციას. ნაცისტების ... ბედმა მაღლა და ... მრეწველობის აღორძინება, ფართოვდება მათი პროდუქციის ასორტიმენტი.

იმიერკარპატის უკრაინაში შეიქმნა სკოლების ფართო ქსელი. 1945 წლის ამ სექტემბრიდან 12 საშუალო სკოლა და სამი გიმნაზია იქნა. ... ლი მუშაობს 505 დაწყებითი სკოლა, 165 არასრული საშუალო და 16 საშუალო სკოლა, რომლებშიაც 113.486 ბავშვი სწავლობს. გაიხსნა უნივერსიტეტი.

იმიერკარპატის მცხოვრებლები მონაწილეობენ მონაწილეობის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. აგიტატორები დღე ახსნან — განმარტებითი მუშაობას ეწევიან. ისინი ... სტალინურ კონსტიტუციას. გამოდის საარჩევნო ლიტერატურა უკრაინულ და რუსულ ენაზე.

## საზღვარგარეთ

### „დინამო"—„ჩელსის" ფეხბურთის მატჩი

**ლონდონი,** 13 ნოემბერი. (საქტესი). მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა დღეს, ლონდონში, სტამფორდ-ბრიჯის სტადიონზე პირველი მატჩი ითამაშა „ჩელსის" კლუბის გუნდთან. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:3. თამაშს დაესწრო 80 ათასამდე კაცი. მატჩის სურათი მოგვაგონებდა ომამდელი დროის დიდ სასპორტო ამბებს. მოთამაშე მხარეთა გამოცნობის გასაადვილებლად, „ჩელსის" გუნდმა თავისი ჩვეულებრივი ცისფერი მაისურები წითლით შეცვალა. მატჩის პირველ ნახევარში „ჩელსიმ" გუნდმა ორი ბურთი შეაგდო „დინამოს" კარში. მოსკოველი ფეხბურთელები უახლოვდებოდნენ „ჩელსის" კარს. მეორე ტაიმში საბჭოთა ფეხბურთელები ერთბაშად გააქტიურდნენ. პირველი ბურთი „ჩელსის" კარში კარცევმა შეაგდო. მას მეორე ოპაცია გაუმართეს. ათი წუთის შემდეგ მეორე ბურთი „ჩელსის" კარში შეაგდო არხანგელსკიმ. ამის შემდეგ „ჩელსის" გუნდმა მესამე ბურთი შეაგდო მოსკოველთა კარში, მაგრამ მალე ბობროვმა გაათანაბრა ანგარიში.

### დე გოლი არჩეულია საფრანგეთის მთავრობის მეთაურად

**პარიზი,** 13 ნოემბერი. (საქტესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე დე გოლი არჩეულ იქნა საფრანგეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარედ. მას ხმა მისცა 555 კაცმა, თავი შეიკავა ერთმა კაცმა.

### ეტლის სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე

**ვაშინგტონი,** 13 ნოემბერი. (საქტესი). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, მიძღვნილი ატომურ მიგნებისადმი საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებისადმი.

### არგენტინაში გადაიდო პრეზიდენტის არჩევნები

**ნიუ-იორკი,** 12 ნოემბერი. (საქტესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, არგენტინის მთავრობამ ცნობა გამოაქვეყნა, რომ პრეზიდენტის არჩევნები, რაც 7 აპრილს უნდა მომხდარიყო, გადაიდება. არჩევნები ახალი თარიღი მომავალ კვირაში გამოცხადდება.

3. დარასელი

# მეღანი

ამ სოფელს მეღანი ჰქვია. მის ირგვლივ ზღაპრული გოლიათებივით აღმართულან სამეგრელოს ამაყი მთები. ოქტომბერია. ნაადრევმა თოვლმა დაჰფარა მიდამო. ხეებზე მწვანე სამოსელი დაჰყარეს. მაგრამ სოფელში მაინც თბილა. ამაოდ მოჰქრის ხევებიდან ცივი ქარი. სოფელს ქარს როგორ მიაკარებენ მშობლიური მთები. მეღანის ბედი ბევრ სოფელს შეშურდება. საკმარისია თუნდაც ერთი კილომეტრით გასცილდეთ მას, რომ უკვე სხვა ჰავა იგრძნოთ. ამ მთებს გადაღმა, სოფელ ჯგალისაკენ ვენახს ფოთლები გასცვივდა, ხეხილს ყინვამ დაჰკრა. აქ კი ცაღამწვდენ წაბლისა და თხმელებს კვლავ ამშვენებს დიდი ბილოს ვაზი, შავი ყურძნის მტევნები ზრწყინავენ მათ ტოტებზე. თითქოს ნაბადი მოუხურავთ ტანზე, კოლხეთის უმთავრო დამვებივით შავი მეგრული ნაბადი.

მეღანი მოედანივით ვაკე ადგილია. ამიტომაც შეარქვეს ეს სახელი—მეღანი—მოედანი. აქ იმართებოდა ტრადიციული ჯარობა. მახლობელი სოფლების ვაჟკაცები აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჯირითში, სირბილში თუ ქართულ ჭიდაობაში. მაჯასა და ღონეს იწრთობდნენ შემოსეული მტრების დასამარცხებლად. მართლაც ბევრი მათგანს უსახელებია სამშობლო მტრებთან ბრძოლაში. მით უფრო ახლა, როცა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სწყდებოდა ამ პატარა, მზიანი კუთხის ბედიც. მეღანისა და მისი მახლობელი სოფლების არაერთმა შვილმა უკვდავი დიდებით შემოსა თავისი სახელი. შორს, ინგურის ხეობისაკენ მოსჩანს სოფელი. ომამდე რომ შეჰკითხებოდით რა სოფელიაო იგი, გიპასუხებდნენ სოფელი ჯვარიაო, ახლა კი დიდი და პატარა ქანთარიას სოფელს ეძახის. გაიშნებენ კიდევ — ხედავთ, თეთრი სახლი რომ მოსჩანს, იმის გვერდით არის ქანთარიას სახლი. ეს ის ქანთარიაა, რომელმაც რუს ჯარისკაც ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე ჩვენი გამარჯვების დროშა ააფრიალა. ომამდე ვინ იცოდა ქანთარიას სახლი. ასეთი სახლები აქ ათასობით იდგა. ახლა კი იგი თითით საჩვენებელი გახდა.

* * *

მეღანში სტალინის სახელობის კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობის გამგეობის შენობის ირგვლივ პატარა ქალაქი გაშენდა. ორსართულიანი სასიმინდეები—„ბალაზები" (ასე ჰქვია მეგრულად) მარმაზივით ჩამწკრივებულან, მარჯვნივ კოლმეურნეობის საწყობების გრძელი ... რამდენიმე წლის წინად აქ ჩირგვების მეტი არაფერი იყო. კოლმეურნეებმა თავიანთი მარჯვენით გაკაფეს ეკალბარდები. მათ შრომას ენერგიულად ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაიდი კვარაცხელია. კოლმეურნეებს უყვართ ასეთი თავმჯდომარე, რაზედაც არ უნდა მიუთითოთ, გეტყვიან: ეს მას შემდეგ ავაშენეთ, რაც ირაიდი ავირჩიეთ თავმჯდომარედ. კვარაცხელია გამოცდილი მუშაკია. მან უმაღლესი განათლება მიიღო. იგი ყოველმხრივ მომზადებულია. აი, მე მასთან ერთად ვათვალიერებ კოლმეურნეობის კედლის გაზეთს. გაზეთსაც ეტყობა მისი ხელი. იგი მართლაც კოლმეურნეობის სარკეა. ამ ნომერში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მოსავლის უდანაკარგოდ აღების საკითხზე. და მართლაც, ურემი ურემს მოჰყვება. თაფლის სახთელივით სუფთა, ჩასუქებული ხარები, შავად მბზინავი კამეჩები ხვრემით ეზიდებიან კოლმეურნეების ღოვლათს: სიმინდს, ყურძენს, ნიგოზს, ოქროსფერ მუხუდოს: ზარაქით ივსებიან საწყობები. ყველას სახეზე სიხარულის ღიმი დასთამაშებს. ეს ხომ გამარჯვების პირველი მოსავალია. თვალისჩინივით უფრთხილდებიან ყურძნის თითოეულ მტევანს. მოზარდები ნაჩალავს შესეკიან. სიმინდის გადაჭრილ ღეროს ძირში ფურცელი დარჩა. ისიც არ უნდა დაიკარგოს. აგერ ერთ-ერთი ურმიდან პატარა გოგრა ჩამოგორდა. ჰგონია ყურადღებას არ მიაქცევდნენ. მაგრამ არა. მეურმემ ხარები შეაჩერა, გამოექიდა, აიღო და კვლავ დასდო იგი ურემზე.

ომის დროს კოლმეურნეობას მუშა ხელი აკლდა. მისი რჩეული ვაჟკაცები მტერს ებრძოდნენ. მინდვრებზე მოხუცები და მოზარდები მუშაობდნენ. ისინი დღე-ღამეს ასწორებდნენ, რათა სოფელს ვაჟკაცების ხელი არ დაჰკლებოდა. ახლა მშობლიურ კოლმეურნეობას კვლავ უბრუნდებიან ვაჟმოსული მეომრები. მათ განა დაუვიწყებიათ ბარისა და ნამგლის ხმარება!.. ქ. მიქავა სამამულო ომის ინვალიდია. იგი ჩვეული სიყვარულით გაუძღვა მთაში ცხვრის ფარას. ვეან შემოდგომაზე გასუქებული ცხვარი ულევლივ ჩამოიყვანა სოფელში. დემობილიზებული მეომრები ვ. მიქავა, პ. ქორაია, ი. ძაძამია, მ. მიქენია, ს. მიქავა, მ. გურიელი და სხვ. შრომითი თავდადების მაგალითებს იძლევიან. ისინი წითელმა არმიამ კიდევ უფრო გამოაწრთო, დავაჟკაცა.—კაცები კი არა—ვეფხვებია ვეფხვები!—ამბობენ მათი მუშაობით აღფრთოვანებული კოლმეურნეები.

მეღანელები ამაყობენ, რომ მათაც შეიტანეს წვლილი გამარჯვების საქმეში. ისინი ახალი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს. — მეღანი, ჩვენი პატარა მეღანი ახალ-ახალი შრომითი გამარჯვების მოედანი უნდა იყოს, — ამბობენ კოლმეურნეები.

პ/მ. რედაქტორი ა. მურაშოვი.

პ/მგ რედაქტორის მოად. ვ. დარასელი